დანართი

საკონკურსო პირობები

1. ადგილების რაოდენობა - 50 ადგილი.

2. კონკურსის ეტაპები:

ა) განაცხადის წარდგენა - 2025 წლის 11 მარტიდან - 2025 წლის 25 მარტის ჩათვლით;

ბ) განაცხადების გადარჩევა - 2025 წლის 08 აპრილის ჩათვლით;

გ) გასაუბრება - 2025 წლის 25 აპრილის ჩათვლით;

დ) შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ცენტრი) დირექტორისთვის - 2025 წლის 08 მაისის ჩათვლით;

ე) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შერჩეულ კანდიდატთა შესაბამისი კვოტით შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში - 2025 წლის 19 მაისის ჩათვლით.

3. კვების დარგში ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განისაზღვროს:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით: სურსათის გადამუშავება (სასურსათო ტექნოლოგიის/სურსათის უვნებლობის/საკვები პროდუქტების მეცნიერების/კვების ტექნოლოგიის/კვების პროდუქტების გადამუშავების/კვების ან სასურსათო პროდუქტების ექსპერტიზის მიმართულებით), მედიცინა (სასურველია სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია ნუტრიციოლოგიაში, დიეტოლოგიაში, პედიატრიაში ან/და კვების ჰიგიენაში), საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკა.

ბ) ბოლო 10 წლის განმავლობაში დარგში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი სამუშაო გამოცდილება (დიეტოლოგია/ნუტრიციოლოგია/პედიატრია/კვების ჰიგიენის მიმართულებით ან/და ბავშვთა და მოზარდთა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების მართვის, ნუტრიციული სტატუსის შეფასების, კვების მენიუს შემუშავების, მზა კერძების ენერგეტიკული ღირებულების გამოთვლისა და საკვებსა და ენერგიაზე ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ნორმებთან შესაბამისობის შეფასება/უზრუნველყოფის მიმართულებით ან/და სასურსათო უსაფრთხოების, სასურსათო/კვების ტექნოლოგიის, საკვები პროდუქტების მეცნიერების, სურსათის უვნებლობის მიმართულებით).

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) „ბავშვის უფლებათა კოდექსი“;

გ.ბ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;

გ.გ) „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილება (I და II თავი);

გ.დ) „ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილება.

დ) კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word; Excel; PowerPoint - ცოდნა;

ე) ენების ცოდნა:

ე.ა) სავალდებულოა ქართულ ენაზე გრამატიკულად გამართული წერა და მეტყველება, წერილობითი ანგარიშის შედგენის, დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებისა და პოზიციის დაცვის უზრუნველსაყოფად;

ე.ბ) სასურველია უცხო ენის - ინგლისური, სომხური, აზერბაიჯანული - ფლობა.

ვ) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების ქონა:

ვ.ა) მოტივაცია;

ვ.ბ) გუნდური მუშაობა;

ვ.გ) ეფექტური კომუნიკაცია;

ვ.დ) სამართლიანობა;

ვ.ე) პასუხისმგებლობა;

ვ.ვ) დეტალებზე ორიენტირებულობა;

ვ.ზ) ორგანიზებულობა;

ვ.თ) ვადებზე ორიენტირებულობა;

ვ.ი) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;

ვ.კ) სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;

ვ.ლ) კონფლიქტების მართვის უნარი.

4. კვების დარგში ექსპერტის ფუნქციებია:

ა) შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა ექსპერტთა ჯგუფისთვის;

ბ) შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად შენიშვნების, მოსაზრებების და შეკითხვების მომზადება და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გაზიარება, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან შეთანხმებული ფორმით;

გ) ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში მონაწილეობა;

დ) დაწესებულებაში/დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის პერიოდში, ავტორიზაციის განაცხადში ან სხვა წარმოების ფარგლებში გაკეთებულ განაცხადებში/ანგარიშში ასახული მათ კომპეტენციას მიკუთვნებული ინფორმაციის რეალობასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, შემდეგი აქტივობების განხორციელება:

დ.ა) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს ჩატარება;

დ.ბ) საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა დადგენილი წესის შესაბამისად;

დ.გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის გაზიარება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, დასკვნის პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, დასკვნის პროექტზე დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის საკუთარი მოსაზრების წარდგენა პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე;

ზ) დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება;

თ) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა.

5. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:

ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი - ავტობიოგრაფია (CV), წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;

ბ) შესაბამის ველში ატვირთოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი.

6. სამუშაო გამოცდილება და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი ავტობიოგრაფიით (CV). სამართლებრივი აქტების ცოდნა, ენების ცოდნა და უნარების/პიროვნული თვისებების ქონა შემოწმდება კონკურსის გასაუბრების ეტაპზე.

7. კონკურსის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით კანდიდატს შეუძლია მიმართოს სააპელაციო კომისიას წერილობითი ფორმით, შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 202 21 21.